ოთო ანთია

ლილის კათოლიკური უნივერსიტეტი, საფრნაგეთი

20-24 ივლისის პერიოდში, კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის პროფესორმა ოთო ანთიამ, ERASMUS+ პროგრამის აკადემიური პერსონალის მობილობის ფარგლებში, მონაწილეობა მიიღო ქალაქ ლილის კათოლიკური უნივერსიტეტის საზაფხულო პროგრამაში. მობილობის ფარგლებში, ოთო ანთიამ ინგლისურ ენაზე, მცირე საერთაშორისო ჯგუფის სტუდენტებისთვის, ჩაატარა ინტენსიური, პრაქტიკულ ქეისებზე დაფუძნებული სასწავლო სესიები.

სასწავლო სესიების ფარგლებში განხილული იყო ისეთი თემები, როგორიცაა ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი, ცირკულარული ბიზნესმოდელები, ცირკულარული ეკონომიკა და მდგრადი განვითარება. სწავლების პროცესი აერთიანებდა მოკლე თეორიულ ნაწილს, რეალური კომპანიების მაგალითებისა და ქეისების ანალიზს, ასევე სტრუქტურირებულ დისკუსიასა და სტუდენტებთან ინტერაქციას.

მობილობის ფარგლებში განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა მცირე ჯგუფზე დაფუძნებული, დისკუსიაზე ორიენტირებული სემინარის ფორმატი. ოთხი სტუდენტისგან შემდგარი ჯგუფის შემთხვევაში, აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობდა სტუდენტების მაღალ ჩართულობას და უზრუნველყოფდა ორმხრივ აკადემიურ ინტერაქციას. ამასთან, მობილობამ ხელი შეუწყო აკადემიური პერსონალის პროფესიული და პედაგოგიური უნარების განვითარებას, მათ შორის, სემინარის ეფექტურად წარმართვის, დროის მართვის, ინტერკულტურული კომუნიკაციისა და განსხვავებულ აკადემიურ გარემოსთან ადაპტაციის მიმართულებით.

მობილობის მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო ასევე გამოცდილების გაზიარება ლილის კათოლიკური უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან. ადმინისტრაციული და პედაგოგიური პრაქტიკის გაცნობამ გამოავლინა კონკრეტული კარგი პრაქტიკები, მათ შორის მცირე ჯგუფებში სწავლების დისკუსიაზე დაფუძნებული ფორმატი და სასწავლო კურსების მკაფიოდ სტრუქტურირებული დოკუმენტაცია, რომელთა კავკასიის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში გამოყენების შესაძლებლობაც არსებობს.

აღნიშნულმა მობილობამ ხელი შეუწყო კავკასიის უნივერსიტეტსა და ლილის კათოლიკურ უნივერსიტეტს შორის აკადემიური თანამშრომლობის გაღრმავებას, განსაკუთრებით ცირკულარული ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მიმართულებით, და შექმნა საფუძველი სამომავლოდ სასწავლო პროგრამების, აკადემიური გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის უფრო მჭიდრო ურთიერთგაცვლისთვის.